დიდი ნდობა, დიდი მოვალეობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 41 (12553) | კვირა, 17 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ხალხის კანდიდატები

გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეებმა წინასაარჩევნო კრებაზე ხიდისთავის № 90 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე **იოსებ გიორგის-ძე რთველიაშვილი.**

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგზიანის კოლმეურნეებმა წინასაარჩევნო კრებაზე ლესურ № 278 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამავე კოლმეურნეობის მოწინავე მესიმინდე **ივანე ვასილის-ძე ტუღუში.**

ლანჩხუთის № 276 საარჩევნო ოლქში ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ლანჩხუთის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **დავით ხარიტონის-ძე საბაშვილი.**

ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე შილდის № 191 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სასამართლოს თავმჯდომარე **ვლადიმერ ივანეს-ძე მაისურაძე.**

ყვარლის რაიონის სოფელ ყარსუბნის გზეთ „პრავდის" სახელობის კოლმეურნეებმა ბაისუბნის № 186 საარჩევნო ოლქში საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს სახალხო პოეტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძე.**

ყვარლის რაიონის სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს" წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე აფენის № 187 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს კოლმეურნეობის მეაბრეშუმე **ანიჩკა სიკოს ასული ტალახაძე.**

ყვარლის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა კრებამ ლელიანის № 188 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეა მეთამბაქოე **თამარ ვლადიმერის ასული კაპანაძე.**

დაბა ყვარლის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეებმა ყვარლის № 189 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ყვარლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **გივი იასეს-ძე ზაუტაშვილი.**

ყვარლის რაიონის კალინინის სახელობის არტელის კოლმეურნეთა საერთო კრებამ ლაგოდეხის № 184 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა **ალექსანდრეს** ლაგოდეხელ **ალექსანდრეს ასული ლეონიძე.**

ლენინგორის რაიონის სოფელ დაფიანეთის კოლმეურნეებმა ლენინგორის № 399 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ვლადიმერ სოლომონის-ძე გელაშვილი.**

ქვაისის მაღაროსამმართველოს მაღაროელებმა წინასაარჩევნო კრებაზე ქვაისის № 393 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ცხინვალის სამრეწველო საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი **ზნაურ ნიკოლოზის-ძე გასიევი.**

ზნაურის რაიონის სოფელ ქსუისის არტელის წევრთა საერთო კრებამ ვანათის № 397 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე **იასონ ილიას-ძე ქრისტესიაშვილი.**

ახალციხის რაიონის ქალაქ ვალეს კოლმეურნეობის მშრომელებმა პამაჯის № 112 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ივანე სიმონის-ძე ხარისჩარიშვილი.**

ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა აწყურის № 111 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამავე საბჭოთა მეურნეობის მუშა **ლეონა გერმოგენის ასული ღონღლაძე.**

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა წინასაარჩევნო კრებაზე კურდღელაურის № 194 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამავე კოლმეურნეობის მესიმინდე **მარიამ ლევანის ასული ნასყიდაშვილი.**

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე ლენინის № 249 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და ამავე შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **სერგი მელიტონის-ძე ჩიკვილაძე.**

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **მიხეილ ესტატეს-ძე თოფურიძე** დაასახელეს წალკის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად წალკის № 128 საარჩევნო ოლქში.

სოფელ ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს — დაასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ყაზბეგის № 155 საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის მდივანი **ვალერიან ალექსის-ძე ფირანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თეთრი წყაროს № 125 საარჩევნო ოლქში თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა დაასახელა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **არჩილ ალექსანდრეს-ძე გიგოშვილი.**

საჩხერის რაიონის სოფელ საირხეს კოლმეურნეებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად საირხეს № 221 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირი **პარმენ ნიკოლოზის-ძე კურტანიძე.**

ჯავის რაიონის სოფელ ხვწის კოლმეურნეობის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ჯავის № 398 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდე ილიას-ძე ბრეჟნევი** და კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი **ლიზა ესტატეს ასული გალავანოვა.**

დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად მაიაკოვსკის № 269 საარჩევნო ოლქში დაასახელოს დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ანდრია სამსონის-ძე კოკნაველიძე.**

ტრესტ „თბილისმრეწვმშენის" № 4 და № 10 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოთა კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ქუთაისის № 15 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მოწინავე მუშა **გ. დ. ფარცვანია.**

სოხუმის საკონსერვო ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ჭავჭავაძის № 330 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამავე საწარმოს მუშა **თამარ ავთანდილის ასული პაპასკირი.**

სტიტუტის დირექტორი **ხუხუტი სოლომონის-ძე ბღაჟუბა.**

სოხუმის ავეჯის ფაბრიკის „კოლექტივმა ვოროშილოვის № 331 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა **პერსონალური პენსიონერი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1903 წლიდან სერგი ივანეს-ძე ქავთარაძე.**

გალის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „შეშელეთის" წევრებმა ოქტომის № 362 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გენადი ივანეს-ძე ვორონოვი** და კოლმეურნეობის თავმჯდომარე **კონდრატე ჯომოს-ძე უზარაშვილი.**

სიღნაღის რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი. არტელის წევრებმა ზემომაჩხაანის № 180 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამავე კოლმეურნეობის წევრი **ალექსანდრე მოსეს-ძე კოტაშვილი.**

სიღნაღის რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეებმა წითელწყაროს № 182 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **სერგი ეგნატეს-ძე ხოსროშვილი.**

ლენინგორის რაიონის სოფელ დაფიანეთის კოლმეურნეებმა ლენინგორის № 399 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ვლადიმერ სოლომონის-ძე გელაშვილი.**

ქვაისის მაღაროსამმართველოს მაღაროელებმა წინასაარჩევნო კრებაზე ქვაისის № 393 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ცხინვალის სამრეწველო საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი **ზნაურ ნიკოლოზის-ძე გასიევი.**

ზნაურის რაიონის სოფელ ქსუისის არტელის წევრთა საერთო კრებამ ვანათის № 397 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე **იასონ ილიას-ძე ქრისტესიაშვილი.**

ახალციხის რაიონის ქალაქ ვალეს კოლმეურნეობის მშრომელებმა პამაჯის № 112 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ივანე სიმონის-ძე ხარისჩარიშვილი.**

ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა აწყურის № 111 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამავე საბჭოთა მეურნეობის მუშა **ლეონა გერმოგენის ასული ღონღლაძე.**

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა წინასაარჩევნო კრებაზე კურდღელაურის № 194 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამავე კოლმეურნეობის მესიმინდე **მარიამ ლევანის ასული ნასყიდაშვილი.**

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე ლენინის № 249 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და ამავე შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **სერგი მელიტონის-ძე ჩიკვილაძე.**

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **მიხეილ ესტატეს-ძე თოფურიძე** დაასახელეს წალკის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად წალკის № 128 საარჩევნო ოლქში.

სოფელ ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს — დაასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ყაზბეგის № 155 საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის მდივანი **ვალერიან ალექსის-ძე ფირანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თეთრი წყაროს № 125 საარჩევნო ოლქში თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა დაასახელა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **არჩილ ალექსანდრეს-ძე გიგოშვილი.**

საჩხერის რაიონის სოფელ საირხეს კოლმეურნეებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად საირხეს № 221 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირი **პარმენ ნიკოლოზის-ძე კურტანიძე.**

ჯავის რაიონის სოფელ ხვწის კოლმეურნეობის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ჯავის № 398 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდე ილიას-ძე ბრეჟნევი** და კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი **ლიზა ესტატეს ასული გალავანოვა.**

დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად მაიაკოვსკის № 269 საარჩევნო ოლქში დაასახელოს დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ანდრია სამსონის-ძე კოკნაველიძე.**

ტრესტ „თბილისმრეწვმშენის" № 4 და № 10 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოთა კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ქუთაისის № 15 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მოწინავე მუშა **გ. დ. ფარცვანია.**

სოხუმის საკონსერვო ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ჭავჭავაძის № 330 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამავე საწარმოს მუშა **თამარ ავთანდილის ასული პაპასკირი.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

ერაყიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ამ ქვეყანაში ხორციელდება მასობრივი რეპრესიები და სისხლიანი ტერორი ერაყის კომუნისტებისა და დემოკრატიული და პატრიოტული ძალების სხვა წარმომადგენლებისა. ადამიანებს ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები აწარმოებენ მასობრივ ჩხრეკას, დაპატიმრებას, სცემენ და ხოცავენ ასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანს.

კომუნისტებისა და სხვა დემოკრატების და პატრიოტების წინააღმდეგ ყასემის რეჟიმის მომხრეებად მათი გამოცხადების საბაბით ყველგან მიმდინარეობს ჩხრეკა-დაპატიმრება. საპყრობილეები სავსეა დაპატიმრებულებით, იქმნება სპეციალური ბანაკები რეპრესირებულთათვის. საფრთხეშია სიცოცხლე ერაყელი ხალხის ათასობით გმირი შვილისა, რომლებიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში თავდადებით იბრძოდნენ ნური საიდის პროიმპერიალისტური შავბნელი რეჟიმის წინააღმდეგ, ამ რეჟიმის დამხობის შემდეგ კი თანამიმდევრულად მოითხოვდნენ ერაყის 1958 წლის რევოლუციის მიზნების განხორციელებას.

ერაყის კომუნისტურ პარტიას ყოველთვის მაღლა ეჭირა ეროვნული ბრძოლის დროშა. იგი ვერ ურიგდებოდა კოლონიზატორებსა და მათ აგენტებს უაღრესად სასტიკი ტერორის პირობებში, რომელიც გამოიარა ერაყმა მეფის დინასტიისა და პროიმპერიალისტური ხროვის ბატონობის პერიოდში. კომუნისტური პარტიის სიმტკიცე ვერ შეასუსტა ვერც დევნამ, ვერც საპყრობილეებმა, ვერც სახრჩობელებმა. თავისი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და პროგრესისათვის. ბრძოლაში პარტიამ უდიდესი მსხვერპლი გაიღო, ისეთი, როგორიც არ გაუღია ერაყის არც ერთ სხვა პარტიას. ერაყელი კომუნისტები აქტიურად მონაწილეობდნენ 1958 წლის იულისის რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში. ყასემის პირადი დიქტატურის პერიოდში, მიუხედავად დევნისა და რეპრესიებისა, კომუნისტები განაგრძობდნენ გმირულ ბრძოლას რევოლუციის მიზნების განხორციელებისათვის. ისინი იბრძოდნენ ეროვნული პატრიოტული ძალების ერთიანობისათვის ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ. თავიანთი სამშობლოს ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის, ქურთი ხალხის სამართლიანი ეროვნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, დემოკრატიისათვის, ერაყელი ხალხის უფლებებისა და საარსებო ინტერესებისათვის. ისინი გადაჭრით ამხილებდნენ იმ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ უყურადღებოდ დატოვებინათ ამ ქვეყნის განვითარება.

კომუნისტური პარტია მთელი თავისი საქმიანობით ემყარებოდა ხალხთა ფართო მასებს და სარგებლობდა მათი მხარდაჭერით. იგი ესწრაფვოდა შეიღრო თანამშრომლობას თავისი ქვეყნის მთელ ეროვნულ-პატრიოტულ და დემოკრატიულ ძალებთან პირადი დიქტატურისა და ძალადობის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. კომუნისტების დევნა ძირეულად ეწინააღმდეგება ეროვნული ერთიანობის, თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის პოლიტიკის გამოცხადებას.

ისტორიამ უკვე არაერთხელ დაადასტურა, რომ ისინი, ვინც ანტიკომუნიზმის პოზიციიდან მოქმედებს, უთუოდ ფეხქვეშ თელავენ მთელი ხალხის წმიდათა წმიდა უფლებებს, ლახვარს სცემენ თავიანთი ქვეყნის მთელ ნამდვილად დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალებს, ემსახურებიან რეაქციის საქმეს და ასუსტებენ ერის ერთიანობას იმპერიალიზმის ხელყოფისაგან. მისი ინტერესების დაცვაში. გასაკვირი როდია, რომ ანტიკომუნისტური ტერორის თარეში ერაყში მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური რეაქციის სიხარულს იწვევს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი, რომელთაც დიდად აინტერესებთ მეგობარი ერაყელი ხალხის ბედი, შეაშფოთა ერაყში შექმნილმა მდგომარეობამ. ისინი მთელი მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებრიობასთან ერთად გულისწყრომით აცხადებენ პროტესტს გაუმართლებელი მასობრივი რეპრესიების წინააღმდეგ ერაყში.

რეპრესიები და დევნა, რასაც ამ დღეებში განიცდის ერაყელი ხალხის მოწინავე ნაწილი, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო ფენების კანონიერ აღშფოთებას იწვევენ. საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი გადაჭრით გმობენ ხისლიან ტერორსა და რეპრესიებს ერაყში. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ერაყელი ხალხის საუკეთესო შვილთა რბევისა და მოსპობის პოლიტიკა ჩაიფუშება. ერაყის თავისუფლებისმოყვარე ხალხი მოიკრებს ძალღონეს, რათა შეკავშირებული და აქტიური მოქმედებით საკადრისი პასუხი გასცეს გამხეცებულ რეაქციას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგ ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნის

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სულით და გულით გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, დაბადების მესამოცე წლისთავს.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. ვ. პოდგორნისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ამხ. ნ. ვ. პოდგორნის დიდი დამსახურებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე და დაბადების მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოს ამხ. ნიკოლოზ ვიქტორის-ძე **პოდგორნის სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო".**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1963 წ. 16 თებერვალი.

ეკონომიური ურთიერთდახმარებისათვის

მოსკოვი, 15 თებერვალი. (საკდესი). დღეს მოსკოვში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სხდომა. სხდომაზე განიხილავენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის საკითხებს ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში.

სხდომას თავმჯდომარეობს ბრუნო ლაიშერი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კანონიერების საგუშაგოზე

13 და 14 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილებათა გამგეებისა და მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრთა თათბირი.

თათბირმა განიხილა საკითხები, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოთა საქმიანობის გაუმჯობესების, სამართლის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა როლის ამაღლების და საზოგადოებრიობასთან კავშირის გაფართოების, საბჭოთა კანონების ზუსტი დაცვის სულისკვეთებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების მუშაკთა აღზრდისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

15 და 16 თებერვალს გაიმართა სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც მოისმინეს და განიხილეს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის რ. ა. რუდენკოს მოხსენება მოკვლეგისა და წინასწარი გამოძიების ორგანოთა საქმიანობაში კანონიერების დაცვისადმი. სასამართლო განჩენთა კანონიერებისა და დასაბუთებულობისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

გერმანე ტიტოვი ამომრჩევლებთან

პოლკოვნიკოვი (ალტაის მხარე), 15 თებერვალი. (საკდესის კორ.). დღეს სოფელ ნალობიხის კინოთეატრ „მეგობრობაში" კოსმონავტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი შეხვდა თავის ამომრჩევლებს — საბჭოთა მეურნეობა „ოქტომბრის სხივის" მუშებსა და სპეციალისტებს, სადგურ ოვჩინიკოვოს რკინიგზელებს, საავტომობილო მეურნეობის შოფრებს, პურის მიმღები პუნქტების მუშამოსამსახურეებს.

გერმანე ტიტოვმა თანამემამულეებს გააცნო საბჭოთა ადამიანთა მიერ კოსმოსის ათვისების ეპოპეა, აგრეთვე თავისი, როგორც დეპუტატის, საქმიანობა.

დღესვე გერმანე ტიტოვი გაემგზავრა ტროიცკის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც აგრეთვე შეხვდება თავის ამომრჩევლებს.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პროფაქტივის კრება

მოსკოვი, 15 თებერვალი. (საკდესი). დღეს კავშირის სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პროფკავშირული აქტივის კრება. საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი განრიგი — მოქმედებაში!

ქართული კაპროლაქტამი — მაისში

გუშინ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიურომ კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე გაამართა მშენებელ-მემონტაჟეთა და დამკვეთი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ოპერატიული თათბირი.

თათბირმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარე გ. ა. გეგეშიძე, შეაჯამა მუშაობის ერთკვირეული განრიგის შესრულების შედეგები და დაამტკიცა ახალი განრიგი მომავალი კვირისათვის.

როცა გადაწყდა ქართული კაპროლაქტამის მიღება მაისში და დამტკიცდა მუშაობის ერთკვირეული განრიგი, აჭა-იქ გამოჩნდნენ სკეპტიკოსები, რომლებმაც განაცხადეს, არარეალურია, ეს განრიგი ვერ შესრულდებაო.

მაგრამ ვინც გუშინ ინახულა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობა, გაეცნო საქმის ვითარებას, დარწმუნდა მიღებული გადაწყვეტილების რეალობაში.

ყველაზე მთავარი, რითაც მშენებელ-მემონტაჟეები პირნათელნი მოვიდნენ თათბირზე, ეს არის ციკლოგექსანონის საამქროს მშენებლობის დასრულება. ამ საამქროს მშენებლობაში აქტიური როლი შეასრულეს „მეტალურგპროკატმონტაჟის", „იუვმონტაჟავტომატიკის", „პრომეფენლაციის", „სვიაზჩერმეტის", „კავსანტეხმონტაჟის", „ტერმოიზოლაციის", „ქიმმრეწვმშენის" და „სპეცმშენის" სამმართველოთა კოლექტივებმა.

— მშენებელ-მემონტაჟეები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ აგრეთვე № 954 კორპუსის მშენებლობისა და დამონტაჟების სამუშაოების შესრულებას. გაკეთდა დიდი საქმე. საამქრო ზოგიერთი უმნიშვნელო წვრილმანის გარდა მზად არის. რა არის ეს წვრილმანები?

„მეტალურგპროკატმონტაჟის" სამმართველომ შვიდი სახის სამუშაოდან ვერ დაამთავრა ერთი, ხოლო იმის გამო, რომ ზოგიერთმა სამონტაჟო ორგანიზაციამ სამუშაო ფრონტი არ დაუთმო, „ტერმოიზოლაციის" სამმართველომ საიზოლაციო სამუშაოები დაგვიანა.

„მეტალურგპროკატმონტაჟისა" და „ტერმოიზოლაციის" სამმართველოების ხელმძღვანელებს ვ. იმნაძეს და ა. გეორგიევს მიეცათ მითითება უახლოეს დღეებში დაამთავრონ დარჩენილი სამუშაოები.

განრიგი ძირითადად შესრულდა № 956 კორპუსზეც.

„ტერმოიზოლაციის" სამმართველომ უზრუნველყო ყველა მილგაყვანილობისა და აპარატების საიერმოიზოლაციო სამუშაოები. „სპეცმშენის" სამმართველომ (უფროსი გ. ვოლდეკი) დაამთავრა კორპუსისა და ლაბორატორიის შენობების შიდასამუშაოები და შემინვა. „სვიაზჩერმეტის" სამმართველომ ჩაბარა სახანძრო სიგნალიზაციის აქტები.

მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, ამ კორპუსზე ჯერ კიდევ გადაუჭრელია საკეტი არმატურის საშუშაოთა საკითხი.

რაშია საქმე? რატომ ვერ უზრუნველყო „მეტალურგპროკატმონტაჟის" სამმართველომ ამ სამუშაოს შესრულება? აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექციამ ვერ უზრუნველყო იგი შეკეთებული არმატურით. თათბირზე გადაწყდა დაუყოვნებლივ უზრუნველყოფილ იქნეს მემონტაჟეები

ლაოსელი სტუმრები მოსკოვში

მეტკიცე მეგობრობის გზა

მოსკოვი, 15 თებერვალი. (საკდესი). ლაოსის მეფე შრი სავანგ ვათპანა, ლაოსის კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა და ლაოსის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები ეწვივნენ დღეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.

მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლებს უჩვენეს მთავარი პავილიონის ექსპოზიციები. სტუმრები იყვნენ აგრეთვე რუსეთის სფარ და ყაზახეთის პავილიონებსა და პავილიონში „ატომური ენერგია მშვიდობიანი მიზნებისათვის“. წრიულ პანორამაში მათ ნახეს ფერადი ფილმი „გაზაფხულის გზა“.

გამოფენის დირექციამ ლაოსის მეფეს მიართვა სამახსოვრო მედალი. ხოლო მის თანამგზავრებს — ალბომი გამოფენის ხელმძღვანელთან.

ნაშუადღევს შრი სავანგ ვათპანა, სუვანა ფუმა და სხვა ლაოსელი სახელმწიფო მოღვაწეები ეწვივნენ მოსკოვის კრემლს. ისინი იყვნენ ვ. ი. ლენინის სამუზეო კაბინეტსა და ბინაში. როცა მოისმინეს ნაამბობი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, შრი სავანგ ვათპანამ მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა დაეთვალიერებინა ეს ისტორიული ადგილი. ლაოსის მეფემ ხელი მოაწერა სამადლობელ სტუმრების წიგნში.

მეგობარი ლაოსის წარმომადგენლებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს საბჭოეთის პალატის მდიდარი კოლექციები. პალატის დირექტორმა ი. ი. ცვეტკოვმა სტუმრებს მიართვა სამახსოვრო საჩუქრები.

იმავე დღეს ლაოსის ელჩმა საბჭოთა კავშირში კაბპან პანიამ დარბაზობა გამართა იმის გამო, რომ სსრ კავშირში იმყოფება მისი უდიდებულესობა ლაოსის მეფე შრი სავანგ ვათპანა.

დარბაზობაზე იყვნენ ლაოსის პრემიერ-მინისტრი სუვანა ფუმა და ლაოსის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები.

საბჭოთა კავშირის მხრივ ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. ი. ვორონოვი. ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირნი.

დარბაზობაზე მეფემ შრი სავანგ ვათპანამ და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

ვილსონი ნატოს მხარეზეა

ლონდონი, 15 თებერვალი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის ახლად არჩეულმა ლიდერმა ჰაროლდ ვილსონმა განაცხადა, მე ვიხელმძღვანელებ იმ პოლიტიკით, რომელსაც პარტიის განსაკუთრებული ლიდერი ჰიუ გეიტსკელი ახორციელებდაო.

ვილსონი გუშინ გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის თავავარ ბინაში — ტრანსპორტ-ჰაუზში და თქვა, რომ განზრახული აქვს შეასრულოს გეიტსკელის სამი განაწესი: დაიცვას პარტიის ერთობა; განაგრძოს წინანდელი პოლიტიკური კურსი; მიიყვანოს პარტია გამარჯვებამდე პარლამენტის მომავალ არჩევნებში.

შეეხო რა ლეიბორისტების საგარეო პოლიტიკას, ვილსონმა განაცხადა: „ჩვენი პარტია მტკიცედ უჭერს მხარს ნატოს“.

დე გოლის განცხადება

პარიზი, 16 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის ნეიტრალიტეტი შეუძლებელია. ყველაფერს, რასაც საფრანგეთი აკეთებს, საფუძვლად უდევს ერთი რეალობა, ატლანტიკის კავშირის რეალობა. ეს განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა დე გოლმა გუშინ იმ ოფიცრებთან შეხვედრის დროს, რომლებიც ეროვნული თავდაცვის უმაღლეს ინსტიტუტში სწავლობენ.

ახალი შეთქმულება

პარიზი, 15 თებერვალი. (საკდესი). სალამოს გაზეთი „პარი-პრეს ეტრანსიეანი“ დღეს გამოვიდა დიდი სათაურით: „თავდასხმა დე გოლზე ჩაიფუშა“. გაზეთი იუწყება, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დააპატიმრეს ოთხი ოფიცერი, რომლებზეც ეჭვი მიაქვთ, რომ მონაწილეობდნენ შეთქმულებაში. თავდასხმა პრეზიდენტზე უნდა მომხდარიყო დღეს დილით, როცა იგი ეწვეოდა პარიზის სამხედრო სასწავლებელს.

პროტესტი დაპატიმრებათა წინააღმდეგ ერაყში

სოფია, 16 თებერვალი. (საკდესი). ბულგარეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტი დიდი შეშფოთებით შეხვდა ცნობას, რომ ერაყში დააპატიმრეს მშვიდობის მომხრეები, მათ შორის ერაყის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი აზიზ შერიფი, რომელსაც იცნობენ და გულწრფელად სცემენ პატივს მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანები, ნათქვამია კომიტეტის დეპეშაში, რომელიც გაეგზავნა ერაყის მთავრობას.

მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტი ბულგარეთის მშვიდობის მომხრეთა სახელით აცხადებს პროტესტს ერაყის მთავრობის ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული მოქმედების წინააღმდეგ.

ბულგარეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტი თავის დეპეშაში მოითხოვს ერაყის მშვიდობისათვის მებრძოლთა განთავისუფლებას.

პარიზი, 16 თებერვალი. (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობამ გაუგზავნა ერაყის პრეზიდენტ არეფს დეპეშა ერაყელ დემოკრატთა მიმართ „სისხლიანი რეპრესიების“ წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობა სოლიდარობას უცხადებს ერაყის შრომელებს და მოითხოვს ხელისუფლებისაგან ბოლო მოეღონ მკვლელობებს, გაათავისუფლონ დაპატიმრებულნი.

მარად ერთად

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულების 15 წლისთავი

მოსკოვი, 15 თებერვალი. (საკდესი). დღეს კრემლის თეატრში გაიმართა საზეიმო კრება ძმეურნალი საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 15 წლისთავისადმი.

კრების მონაწილენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ა. ი. მიკოიანს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ანტალ ალროს, უნგრეთის მძიმე მრეწველობის მინისტრს შანდორ ცოტნერსა და სხვა უნგრელ ამხანაგებს.

მოხსენება ხელშეკრულების წლისთავის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გიკი-პრეზიდენტმა ბ. ნ. ფედოსეევმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში ბ. მანიკმა.

დე გოლი: — ჩვენ ხომ ისე მოხუცებულნი ვართ, ჩემო ძვირფასო, რომ შვილი ალერ გაგვიჩნდება. მაშ ეს პატარა ობოლი ხომ არ ვიშვილოთ?

კარიკატურა დანიელ მხატვარ ჯ. ბიდსტრუპისა გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკიდან“.

„მწყალობლები“

მას შემდეგ, რაც ჩაიშალა მოლაპარაკება „საერთო ბაზარში“ ინგლისის მიღების შესახებ, ფრანგისტული ესპანეთი საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას ეკურკურება.

ზერორი ერაყში

ბეირუთი, 15 თებერვალი. (საკდესი). ლივანის გაზეთი „ან-ნიდა“ იუწყება, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი და ერაყის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი აზიზ შერიფი, აგრეთვე პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ცნობილი მებრძოლი — პატრიოტი ადელ ყადერ ისმაილ ბუსტანი დაპატიმრებული არიან და მათი სიცოცხლე საფრთხეშია. ბევრი კომუნისტი და მშვიდობის მომხრე საპყრობილეებშია, აღნიშნავს გაზეთი.

გადატრიალების ორგანიზატორები ერაყში, წერს გაზეთი „ან-ნიდა“, „განაგრძობენ სასტიკი ტერორის კამპანიას ყველა დემოკრატის მიმართ. მათ თავიანთ მოწინააღმდეგეებად მიიჩნიეთ ყველა პატრიოტული დემოკრატიული პარტია დაწყებული კომუნისტებით და დამთავრებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიით, რომელსაც მეთაურობს ქამელ ალ-ჩალარჩი, ეროვნულ-პროგრესული პარტიით, რომელსაც მეთაურობს მუჰამედ ბადიდი, და დამოუკიდებლებით“.

ლონდონი, 15 თებერვალი. (საკდესი). 500-ზე მეტმა ერაყელმა სტუდენტმა, რომლებიც ინგლისში სწავლობენ, დღეს ერაყის ლონდონის საელჩოს შენობასთან მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია მასობრივი რეპრესიების წინააღმდეგ, რაც ერაყში ხდება.

თეირანი, 15 თებერვალი. (საკდესი). როგორც ერაყიდან ჩამოსული პირნი ამბობენ, მდგომარეობა იქ კვლავ დაძაბულია. ტანკები და ჯავშნოსნები პატრულობენ ბაღდადის ქუჩებსა და მოედნებს. ულტრა-ნაციონალისტური პარტიის „ბაასის“ წევრთა შეიარაღებული რაზმები აჩერებენ და ჩხრეკენ ავტომანქანებს, ამოწმებენ დოკუმენტებს. გრძელდება იმ პირთა დაპატიმრება და დევნა, რომლებსაც კომუნისტური პარტიის წევრობას ან წინანდელი რეჟიმისადმი თანაგრძნობას სწამებენ. არმია, პოლიცია და ეროვნული გვარდიის რაზმები ჩხრეკენ წმენდენ ყაზიმიანისა და შეიხ ომარის რაიონებს. ატომაგტები ფიქრობენ შეიარაღებული „ეროვნული გვარდიელები“ იჭერებიან სახლებში, აწარმოებენ ჩხრეკას, აპატიმრებენ ხალხს.

მიღებული ცნობების მიხედვით, ერაყის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი თევფიე მუნირი, რომლის დაპატიმრებასაც გუშინ იუწყებოდნენ, ოთოკოს დაუხვრეტიათ. როგორც ჩანს, ასეთივე ბედი ეწია ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს ადელ ყადერ ისმაილ ბუსტანის. დაპატიმრებულთა შორის ბევრია მშვიდობისათვის მოძრაობის აქტიური მონაწილე, ერაყ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების, ქალთა ლიგის, სტუდენტთა ორგანიზაციების წევრი. რადიომ გამოაქვეყნა ხელისუფალთა გაკარგულება იმის შესახებ, რომ ყველას, ვისაც დაბრალდება ახალი რეჟიმისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მოსპობენ. ხოლო იმ პირთ, რომლებიც მალავენ ან ხელს უწყობენ „რეჟიმის მტრებს“, სასტიკად დასჯიან.

„ეროვნული გვარდიის“ წევრები მუქარასა და ძალადობას მიმართავენ და მოსახლეობაში აგროვებენ ხელმოწერას ახალი რეჟიმის მხარდასაჭერად.

ერაყის ჩრდილოეთი და სამხრეთი რაიონებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ძლიერდება წინააღმდეგობა ბაღდადის ახალი მთავრობისადმი. დროდადრო თვითონ დედაქალაქშიც განახლდება ხოლმე სროლა..

პარიზი, 16 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბაღდადიდან იუწყება: ერაყის ხელისუფლებმა კვლავ მკაცრი ცენზურა დააწესეს ტელეგრაფის, ტელეფონისა და ფოსტის ცნობებზე. 14 თებერვლიდან სამხედრო ცენზორები მკაცრად აკონტროლებენ ყველა საინფორმაციო ცნობას.

ჯოუ ენ-ლაი: ჩვენ გულწრფელად ვუჭერთ მხარს მეგობრობას

პეკინი, 15 თებერვალი. (საკდესი). მტკიცე და ურყევია ჩვენი პოზიცია — მშვიდობიანი გზით გადაეკრათ ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხი. ჩვენ გულწრფელად გვსურს შევინარჩუნოთ ჩინეთისა და ინდოეთის მეგობრობა, აფრიკა-აზიის სოლიდარობა და მშვიდობა აზიაში, განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ დარბაზობაზე, რომელიც ჩინეთში ვიზიტად მყოფმა კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა ნოროდომ სიანუკმა გამართა.

ავსტრალიელი კომუნისტები იწყნეგენ

კანბერა, 16 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ტრიბუნა“ იუწყება, ამ დღეებში გაიმართა ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის სხდომა. პოლიტიკურმა კომიტეტმა მოისმინა და მოიწონა ანგარიში ავსტრალიის კომპარტიის დელეგაციისა, რომელიც მონაწილეობდა მოძმე პარტიათა ყრილობების მუშაობაში.

„ოდის შემთხვევისათვის“

ლონდონი, 15 თებერვალი. (საკდესი). მიწათმოქმედების, თევზჭერისა და სურსათის სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა სკოტ-ჰოპკინსმა გუშინ თემთა პალატას აუწყა, რომ შემდეგ საფინანსო წელს ინგლისში მომზადდება სასურსათო ბარათები „ომის შემთხვევისათვის“.

დაიკარგა ამერიკის თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 16 თებერვალი. (საკდესი). არ აუდგენიათ რადიოკავშირი ამერიკის კავშირგაბმულობის თანამგზავრ „სინკომთან“, რომელიც 14 თებერვალს გაუშვეს, და მისი ადგილმდებარეობაც გაურკვეველია. ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოების ცნობებით, ამერიკის დამკვირვებელი სადგურების ქსელი, რომელიც მთელ მსოფლიოშია გაფანტული, აკვირდება ცას, ეძებს კოსმოსში დაკარგულ თანამგზავრს.

კაცობრიობის დევიზია მშვიდობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში

ჟენევა, 15 თებერვალი. (საკდესი). 18 სახელმწიფოს კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა რუმინეთის წარმომადგენელი გ. მაკოვესკუ. მან დაგმო დასავლეთის სახელმწიფოთა ცდა თავი აარიდონ თანამედროვეობის უაღრესად აქტუალური საკითხის—განიარაღების საკითხის გადაჭრას და ხაზი გაუსვა, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების მომზადება კომიტეტის მთავარი ამოცანა იყო და არის. მაკოვესკუმ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდის განახლება კომიტეტის მუშაობის განახლების წინ ვერ შეეწყობის ხელს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკების წარმატებას.

ბრაზილიის წარმომადგენელმა დე მელო ფრანკო ფილომ ხაზი გაუსვა, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტში წარმოდგენილი ნეიტრალიტეტი ქვეყნები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მოაახლოონ განიარაღების შესახებ შეთანხმების ხელის მოწერის დღე. ამასთან ბრაზილიის დელეგატმა თქვა, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა შეიძლება უკვე ამჟამად, სულ უახლოეს ხანში. მან მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა და მხარი დაუჭირა იმ იდეას, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში შეიქმნას უატომო ზონები.

ბულგარეთის წარმომადგენელმა მ. ტარაბანოვმა დაწვრილებით ჩამოაყალიბა თავისი მთავრობის პოზიცია განიარაღებისა და ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში. მან თქვა, რომ საერთაშორისო ვითარება მოითხოვს დაუყოვნებლივ მიღებულ იქნეს ღონისძიებანი ატომური ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ტარაბანოვმა მხარი დაუჭირა ატომური იარაღის მიტანის სტატეგიულ საშუალებათა განსალაგებლად უცხოეთის ტერიტორიების გამოყენებაზე უარისთქმის შესახებ დეკლარაციის პროექტს, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა.

იმაზე, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები და განსაკუთრებით აფრიკის ხალხები სერიოზულად არიან შეშფოთებული გამალებული შეიარაღების განგრძობით, ილაპარაკა ნიგერიის დელეგაციის მეთაურმა მ. მბუმ. მან ბრალად დასდო საფრანგეთის მთავრობას, რომ საპარაში ატომურ მოწყობილობათა გამოცდის წარმოებით იგი წამლავს მომიჯნავე აფრიკის რაიონებს, მის ნიადაგსა და წყლებს.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა. მან ცხადყო დასავლეთის სახელმწიფოების, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმ „მოსაზრებათა“ სრული უსაფუძვლობა, რომლებითაც ისინი ცდილობენ გამართლონ თავიანთი ტაქტიკა, როცა ყოველი ღონისძიებით აჭიანურებენ მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ და ფუშავენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელის მოწერას, თუ დასავლეთის სახელმწიფოებს, ამბობს ვ. ვ. კუზნეცოვი, ტარაბანოვის ანალოგიურ საკითხებზე ეს ეს ... ამას მოელის მათგან მსოფლიო, ამას მოელიან ხალხები, რომლებიც განსაკუთრებული შეშფოთებით აღევნებენ თვალყურს გამალებული შეიარაღების განვითარებას, ამ იარაღის გამანადგურებელი ძალის ზრდას.

ინგლისის წარმომადგენელი გოდბერი ამტკიცებდა, „დასავლეთიც ესწრაფვის განიარაღებასო“. ამასთან გოდბერმა დასავლეთის აკრესიულ სამხედრო დაჯგუფებებს „მშვიდობიანი ბალანსებანი“ უწოდა, რომლებიც თითქოს განკუთვნილია იყოს მხოლოდ თავდაცვითი მიზნებისათვის.

პრეზიდენტ სუკარნოს გამოსვლა

ჯაკარტა, 14 თებერვალი. (საკდესი). მალაიზია ნეოკოლონიალიზმმა წარმოშვა და ამიტომ ვიბრძოდით და კვლავაც ვიბრძოლებთ მის წინააღმდეგ. ჩვენ სიმპათიით ვეკიდებით ჩრდილოეთ კალიმანტანის (ბორნეო) მოსახლეობის ბრძოლას მალაიზიის წინააღმდეგ, განაცხადა დღეს პრეზიდენტმა სუკარნომ ათიათასიან მიტინგზე, რომელიც გაიმართა ეროვნული ფრონტის კონფერენციის გახსნის გამო.

სუკარნომ უარყო მალაიის პრემიერ-მინისტრის ამდენ რახმანის ბრალდება, თითქოს ინდონეზია მალაიზიის წინააღმდეგ იბრძოდეს კოლონიალისტების ზეგავლენით, და თქვა, რომ ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან არა მარტო კომუნისტები. არამედ აგრეთვე ინდონეზიის მთელი ასმილიონიანი ხალხი.

სუკარნომ აღნიშნა, თუ რა დიდ სიძნელეებს გაინიცდის ახლა ინდონეზიელი ხალხი, რომელიც თავის რევოლუციას ახორციელებს.

პრეზიდენტმა წაიკითხა ეროვნული ფრონტის პროგრამა, რომელიც მან დაამტკიცა და რომელიც სახავს ამოცანას, რომ ახალი საზოგადოების მშენებლობაში უკვე მიღწეულ წარმატებათა ბაზაზე დაძლიონ ეკონომიური სიძნელეები, გააძლიერონ ბრძოლა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, გააჯანსაღონ სახელმწიფო აპარატი. სუკარნომ ერთხელ კიდევ აღნიშნა ხაზგასმით, რომ საჭიროა შეიქმნას კოალიციური მთავრობა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, მათ შორის კომუნისტების მონაწილეობით.

გალახულებს მოთმინება არ ჰყოფნით

ვაშინგტონი, 16 თებერვალი. (საკდესი). შეერთებული შტატები ამზადებენ თავზეხელაღებულებს ახალი შეჭრისათვის კუბაში.

მალე მაიამის (ფლორიდის შტატი) შესაგროვებელ პუნქტში სპეციალური სამხედრო წვრთნის კურსს გაივლის ათასზე მეტი „ვეტერანი“ — მონაწილენი პლაიაბორონში შეჭრისა, რომელიც სამარცხვინოდ ჩაიფუშა 1961 წლის აპრილში. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება მაიამიდან, ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ კუბელ კონტრრევოლუციონერ ნაძირალათა მეთაურმა ქარდონამ განაცხადა, რომ „ვეტერანთა“ სამხედრო წვრთნის გეგმა შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ერთად.

როგორც ცნობილია, ათასზე მეტი კუბელი კონტრრევოლუციონერი უკვე გადის სამხედრო წვრთნას ამერიკის არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

ეროვნული არმიის ბატალიონი ედიზაბეტვილში

პარიზი, 16 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ელიზაბეტვილში ჩავიდა კონგოს ეროვნული არმიის ბატალიონი. შემდეგ დღეებში, როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, მოსალოდნელია დამატებითი რაზმების ჩასვლა. კონგოს ეროვნული არმიის ძალებმა უნდა შეცვალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ქვედანაყოფები, რომლებიც ელიზაბეტვილში იმყოფებიან ჩრმბეს კაპიტულაციის შემდეგ.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ ჯაკარტა, 16 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ინდონეზიის დედაქალაქი ზეიმითა და გულთბილად შეხვდა თავის შვილებს — მედესანტეებს, რომლებიც მონაწილეობდნენ დასავლეთ ირიანის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ოპერაციებში.

□ ჰანოი, 16 თებერვალი. (საკდესი). როგორც სააგენტო „განთავისუფლება“ იუწყება, მიმდინარე წლის იანვარში სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციებში სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა დახოცეს 642 დამსჯელი, მათ შორის 16 ამერიკელი ოფიცერი, დაჭრეს 200 კაცი. 170 სამხრეთვიეტნამელი ჯარისკაცი ტყვედ ჩაბარდა ან გადავიდა პარტიზანების მხარეზე.

□ ბუენოს-აირესი, 16 თებერვალი. (საკდესი). არგენტინის პრეზიდენტმა გიდომ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც კრძალავს პერონისტთა პარტიის მონაწილეობას 23 ივნისის საყოველთაო არჩევნებში.

„ბანკოკ ტაიმსი“ ... ეკონომიკურ ...

**ბანკოკ ტაიმსი ... ეკონომიკურ ... ეროვნული ... ეკონომიკურ ... ეროვნული ... ეკონომიკურ ... ეროვნული

სიცოცხლე კულტურისა და ხელოვნების

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘ

ᲣᲒᲑᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲡ ᲘᲡᲬᲐᲛᲡ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. (ᲡᲐᲪᲘ. ᲙᲝᲠ.). — შეიდწლეულის მეხუთე წელს ლანჩხუთელმა მშრომელებმა იკისრეს ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე გაადიდონ 4.400 კილოგრამამდე ნაცვლად შარშან მიღებული 4.240 კილოგრამისა, სახელმწიფოს მიჰყიდონ 10.000 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული, აქედან მაისში მოკრეფონ მთელი ამ რაოდენობის 36 პროცენტი, — განაცხადა საუბარში ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს პარტიკომი კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ᲡᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სიმინდის მოსავლიანობის გადიდებას. წელს 6.500 ჰექტარი სიმინდი დათესეს, აქედან სამარცვლედ — 5 ათასი ჰექტარი. გათვალისწინებულია 1.500 ჰექტარ ნათესში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნას 60 ცენტნერი, ხოლო დანარჩენი ფართობის ჰექტარზე — 20 ცენტნერი მარცვალი.

რაიონის მშრომელები ვარაუდობენ სახელმწიფოს მიჰყიდონ 591 ტონა ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 533 ტონისა, 15.051 ცენტნერი რძე ნაცვლად გეგმით ნაგარაუდევი 14.741 ცენტნერისა. ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მიიღონ 78,4 ცენტნერი ხორცი, ხოლო ყოველ 100 ჰექტარ დანარჩენ სავარგულებზე — 17 ცენტნერი. ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე მიიღონ 170 ცენტნერამდე რძე.

ლანჩხუთელი მშრომელები უკვე შეუდგნენ პირობის განაღდებას. სასიმინდედ ნიადაგის მომზადების სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ჩაის პლანტაციებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მწკრივთა შორის გადაბარვა ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქების შეტანით. მარტო ერთ დღეს პლანტაციებში გადაბარულ იქნა 150 ჰექტარზე მეტი ნიადაგი, ხოლო სასიმინდედ მოიხნა 250 ჰექტარამდე.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡ, ᲒᲐᲠᲐᲥᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.). ყუბანელთა შესანიშნავი ინიციატივის პასუხად ზეგდადელებმა და ყვარელებმა მისამაძი საქმე წამოიწყეს, — განაცხადა საუბარში მახარაძის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვ. ᲯᲐᲧᲔᲚᲘᲐ. — არც ჩვენ დავრჩებით ვალში.

მახარაძელი მშრომელები იმისათვის იბრძვიან, რომ მიმდინარე წელს მოიყვანონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 42 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“.

განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ აგრეთვე სიმინდისა და ბარდის მოსავლიანობის გადიდებას. წელს დათესავენ 5.720 ჰექტარ სიმინდს, ჰექტარზე 35 ცენტნერ მარცვალს მიიღებენ.

ბევრგან შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. განახლების, ასკანის, მშვიდობიურის, ბახვის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა უკვე დათესეს ბარდის პირველი ჰექტარები. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების ძირიმ და ნახევრადძირიმ გასხვლა, ლაო ჩაის კრეფა.

ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲠᲘᲩᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). სოფელ საირხის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში სერიოზული ყურადღება ექცევა მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. კოლმეურნეობას ამ საქმეში ეხმარება „საქსოფლტექნიკის“ საჩხერის განყოფილება. მეცხოველეობის ფერმაში მოეწყო პირუტყვის მექანიზებული სარწყულებლები, ნაკელის მექანიზებული გატანა, უხეში საკვების დაჭრა და სხვ. მექანიზაცია სხვა ფერმებშიც ინერგება.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘ

ᲒᲠᲐᲛᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲢᲘᲪᲘᲐᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ᲣᲐᲜᲐᲚᲘᲩᲔᲚᲘ ხანს გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტის ტიციან ტაბიძის ლექსებისა და წერილების რამდენიმე კრებული გამოვიდა, არა მარტო თბილისში, არამედ მოსკოვშიც.

ტიციან ტაბიძის ამაყი ლექსი კვლავ ჩადგა ახალი ცხოვრების მშენებელთა მწყობრში... გარდა იმისა, რომ გულის ჯიბეში წითელი მიხაკის ტარება უყვარდა, პოეტს კიდევ ერთი თვისება ჰქონია — გადმოიღებდა თაროდან რომელიმე წიგნს და ახალდაწერილ ლექსსა თუ წერილს ამ წიგნში შეინახავდა. დაბეჭდვამდე ცოტა ხანს აქ იყოსო... ასე შემოინახეს პოეტის წიგნებმა პოეტისავე რამდენიმე უცნობი ლექსი და წერილი — „გაღებულ ჯიშკარს შემოაღღავლებს“. „წარწერა თასზე“ და „რევოლუცია და მაიაკოვსკი“.

პირველი ლექსის დაწერის თაობაზე პოეტს მეუღლე ნინო მაყაშვილი იგონებს;

„იმ ხანად თბილისში სტუმრად იყვნენ ცნობილი საბჭოთა პოეტები მიკოლა ბაჟანი და ნიკოლოზ ზაბოლოცკი. ტიციანმა, პაოლო იაშვილმა და გიორგი ლეონიძემ სტუმრები კახეთში წაიყვანეს. სტუმრებთან ერთად იყვნენ ნატა ვაჩნაძე და ვერიკო ანჯაფარიძე. ალავერდში პოეტური ლხინი გაიმართა.., და ტიციანმა დაწერა ლექსი „გაღებულ ჯიშკარს შემოაღღავლებს“.

„წარწერა თასზე“ უფრო პოეტური ხუმრობაა, ლექსად ნათქვამი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ტიციან ტაბიძის ერთ უცნობ ლექსს და დატმოავრებელი წერილის ნაწყვეტს, — რევოლუციის დიდ პოეტზე ნათქვამ კეთილ სიტყვას.

ᲢᲘᲪᲘᲐᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ დიდი, ანდა როგორც ა. ბლოკი ამბობდა, უზარმაზარი ტალანტია. მას ისე შეუძლია შეაბრუნოს სხეა კუთხით ბევრჯერ ნახული საგნები, რომ ისინი ახლად გვეჩვენებიან. ის ფლობს სიტყვას და ლექსიკონს, როგორც თამამი ოსტატი, რომელიც მუშაობს თავისი საკუთარი კანონებით, იმისდა მიუხედავად, ჩვენ მოგვწონს თუ არა მისი ოსტატობა. ბევრი მისი სახე, გამოთქმა და სიტყვის მობრუნება შევიდა ლიტერატურაში და დარჩება მწერლობაში... მას აქვს თავისი სახე, თავისი რიტმი და თავისი რითმა.

მხატვრული მოფიქრება მაიაკოვსკისა თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვანია და ხანდისხან გრანდიოზულიც. პოეტს შეჰყავს თაკის წრეში ომიც და რევოლუციაც, სამოთხეც და ჯოჯოხეთიც. მაიაკოვსკი მტერია მისტიკის, ყოველგვარი კერპობის, ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის. მთელი მისი სიმპატიები მებრძოლი პროლეტარიატის მხარეზეა. ქურუმობა ხელოვნებიდან, ყოველ შემთხვევაში, პრინციპული ქურუმობა მას არა აქვს, პირიქით, ის მზად არის მთელი ზავისი შემოქმედება დააყენოს რევოლუციის სამსახურში...

მაიაკოვსკისგან რევოლუციის მიღება უფრო ბუნებრივია, ვინემ სხვა რომელიმე რუსი პოეტისაგან, რადგან ის წამოიზარდა პოეტის მთელი განვითარებიდან. ინტელიგენტური გზა რევოლუციისკენ ბევრია (ყველას არ მიჰყავს მიზნამდე). ამიტომ საყურადღებოა სწორად გამოვარკვიოთ და დავფასოთ მაიაკოვსკის პირადული ხაზი...

რევოლუცია მაიაკოვსკის ჰეშმარიტი, უთმველი, ღრმა განცდაა... პოეტი თავისი თავით ასახლებს რევოლუციის ელვებს, ქუხებსა და მოედნებს.

◇ ◇

გაღებულ ჯიშკარს შემოაღღავლებს
აბდუშაჰილის დაჭრილი შველი,
როცა ჭრილობა ჭრილობას აღებს,
ათჯერ დაჭრილი სხვას რას უშველი.

ცხენს შემოაგდებს აქაფებული
სატევრის წვერით ბაში-აჩუკი.
თითქოს შენ გქონდა ათასი გული
და ათას ერთი იმან გაჩუკა.

ცა ცას ეკვეთა თეთრი ანძებით,
ღრუბლზე ცივად სცურავს ლაჟვარდი
მოდიან დები ჭაკჭავაძენი —
ორი ტყუპი და — წინანდლის ვარდი.

და უდარაჯებს გადაღმა ხანი
თავის საკბილო წინანდლის ბუდეს.
თუ მოტაცება დასცალდა, ხანი,
გრძელ და საშიშ გზას არას დაუდევს.

ეს იყო ცივი ძველი ზღაპარი.
მხოლოდ ოცნების წამით განათდა,
როცა ცეკვავდნენ მთვარის დაირზე
თვით ვერიკო და ვაჩნაძე ნატა.

ეს ოცნებაა ცეცხლის დამნთები
ცისა და ქვეყნის ამ გაჩენაზე,
იდგნენ ღამეში კახეთის მთები,
როგორც ათასი ნატა ვაჩნაძე.

1936 წ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ტიციან ტაბიძე თავის ქალიშვილთან ერთად (1932 წ.).

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

□ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ქიმიკოსთა კულტურის სახლთან შეიქმნა ქართული თეატრალური კოლექტივი, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული სულხან ქავთარაშვილი. თეატრალურმა კოლექტივმა უკვე განახორციელა გ. სტეფანსკის პიესის „ჯადოს“ დადგმა.

Ნ. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

□ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). ამ დღეებში მაიაკოვსკის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ ინსცენირება. ეს არის მეათე პიესა, რომლის დადგმაც თეატრმა თავისი შექმნიდან ამ ერთი წლის განმავლობაში განახორციელა.

ᲛᲐᲒᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲛᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲝᲞᲘᲐ

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი და ოცი-ანი წლების ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ განმატრგებული რომანის „ლიანა ლორდიას“ ავტორის საფო მგელაძის დაბადების 70 წლისთავი.

ადამიანების სულიერ მშვენიერებას, სიხარულს, სიყვარულს, სილამაზეს და მზიურ მომავალს უმღეროდა თვითონაც სპეტაკი და გულწრფელი ხმის მქონე მწერალი ქალი.

საფო მგელაძეს საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ჰქონდა და საინტერესო წიგნებიც დაუტოვა მომდევნო თაობას. ის იყო მეტად რომანტიკულად განწყობილი ადამიანი და, ბუნებრივია, მის ნაწარმოებებშიც მუდამ იგრძნობოდა ეს რომანტიკული მღელვარება. ამ ნაწარმოებებში ჩანს დიდი გულწრფელობა და უშეალობა, ჩანს სულიერი სიწმინდე და შინაგანი სიმართლე.

მწერალ ქალს ყველაზე მეტად სახელი გაუთქვა რომანმა „ლიანა ლორდიამ“, რომელშიც ავტორმა ახალგაზრდა მხატვარი ქალის სულიერი სამყაროს გადმოცემა სცადა. გაცილებით უფრო ფართო სოციალური ეღერადობა აქვს საფო მგელაძის მეორე პროზაულ ნაწარმოებს „ქარიშხლის ფრთებზე“. იგი გვიხატავს ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ქართული პრესის ფურცლებსა და სხვადასხვა კრებულებში გაბნეული ლექსებისა და მოთხრობების გარდა, ცალკე წიგნებად არის გამოცემული საფო მგელაძის რომანები „ლიანა ლორდია“, „ქარიშხლის ფრთებზე“, თხზულებანი, „პრელუდია“, „ახალი გზით“, „ელეკო“, ლეგენდა-პოემა „ბახბარო“ და სხვ. საფო მგელაძეს ჰქონდა შეგრძნება ცხოვრებისეული სიმართლისა, უყვარდა ჭეშმარიტება, უყვარდა, ყოველივე, რაც ლამაზი და სათნოა ამ ქვეყანაზე.

ᲩᲕᲐᲚ, ორშაბათს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართება საფო მგელაძის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი სალამო. შესავალ სიტყვას წარმოთქვამს შალვა ოფხაიძე. მწერალ ქალს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებას წაიკითხავს ანა დვინიაშვილი. მოგონებებით, სიტყვებით გამოვლენ და ლექსებს წაიკითხავენ ქართველი მწერლები და პოეტები.

ᲡᲐᲤᲝ ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲮᲣᲗᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ

Გ. ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜ საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ქართული რეალისტური მხატვრობის დიდოსტატის ᲒᲘᲒᲝ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ დაბადების 100 წლისთავს.

საქართველოს სურათების გალერიაში გამოფენილი იქნება მხატვრის 100-მდე საუკეთესო ნამუშევარი ფერწერისა და გრაფიკის დარგში.

საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი იუბილესთვის გამოსცემს გ. გაბაშვილის ნაწარმოებთა კატალოგს, რომელშიც შევა მხატვრის 80 საუკეთესო ნაწარმოების რეპროდუქციები.

გამომცემლობა „ნაკადული“ სცემს ხელოვნებათმცოდნე მ. დუდუჩავას მონოგრაფიას გ. გაბაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ამ დღეებში გამოვიდა მხატვრის ნამუშევართა დიდი ალბომი.

5 მარტს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შედგება გ. გაბაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სალამო.

8 მარტს საქართველოს სსრ სამხატვრო აკადემიაში გაიმართება სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნება დიდი ქართველი მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

Დ. ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐ.

„ᲛᲐᲗᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ“

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ვ. ქარსელაძის პიესა „მათი სიხარული“.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. მალლაფერიძემ, მხატვრულად გაფორმა დ. ბალარაკინშვილმა, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ს. მირიანაშვილმა.

ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲛᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲝᲞᲘᲐ

ᲡᲐᲤᲝ ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲮᲣᲗᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ

ᲛᲐᲠᲯᲕᲐᲚᲘ ᲤᲣᲮᲐᲩᲔᲕᲡᲙᲘ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

1938 ᲬᲚᲘᲡ 7 ნოემბერს დილის 10 საათზე კრემლის მეცხოვრის კარიდან წითელ მოედანზე გამოვიდა მხედარი. მოედნის ცენტრში მას შეეგება პარადის სარდალი და პატაკი მისცა.

პიროველად და უეანასკნელად სამოქალაქო ომის გმირი, საბჭოთა მხედართუფროსი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე მიხეილ ნიკოლოზის-ძე ტუხაჩევსკი ილებდა მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადს რევოლუციის წლისთავის დღეს. ტუხაჩევსკიმ ეს პატივი დაიმსახურა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, დაიმსახურა თავისი დაუღალავი შრომით, წითელ არმიას საბჭოთა კავშირის მტრების წინააღმდეგ რომ აიარაღება.

თითქოს ყველაფერი კარგად ეწყობოდა ტუხაჩევსკის ცხოვრებაში. ბრძანება ლენინის ორდენით მისი დაჯილდოების შესახებ მოკლე და შემაჯამებელი იყო: „რევოლუციის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამოქალაქო ომის პერიოდში საგარეო და სამხედო ფრონტებზე სსრ კავშირის თავდაცვის ორგანიზაციის საქმეში და მუშურ-გლეხური ფრთის არმიის ძლიერების განსამტკიცებლად შემდგომი ორგანიზაციული ღონისძიებებისათვის“.

ტუხაჩევსკი ჩინებულად მუშაობდა, მას აფასებდნენ ამხანაგები, პატივს სცემდა ხალხი. 1935 წელს მიხეილ ნიკოლოზის-ძე ტუხაჩევსკის პირველ მხედართუფროსთა შორის მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. და მაინც რაღაც ცუდი წინაგრძნობა ჰქონდა.

მიხეილ ნიკოლოზის-ძე მტკივნეულად განიცდიდა იმას, რომ სტალინი მას ეჭვით და არაკეთილმსურნეულ ეკიდებოდა. ტუხაჩევსკის ვერც ის დაევიწყებინა, რომ ჯერ კიდევ 1930 წელს დაპატიმრეს და გადასახლეს თვალსაჩინო სამხედრო სპეციალისტები სვეჩინი, სნესარევი, ვეიხოტი და სამხედრო აკადემიის სხვა მასწავლებლები. მართალია, მერე ისინი თავიანთ ადგილებზე დაბრუნეს. უნდა ითქვას, რომ მათი ბედი შემდეგში ისევე ტრაგიკული იყო, როგორც თვით ტუხაჩევსკის ბედი.

იმ დროს, როცა ტუხაჩევსკი წითელ მოედანზე პარადს იღებდა, ვერშინინი ხელისუფლების სათავეში მოეკცა ჰიტლერი და ომის საფრთხე რეალური, საგანებით საგრძნობი ხდებოდა. კომუნისტი მხედართუფროსი ტუხაჩევსკი პარტიის XVII ყრილობაზე გამოვიდა. იგი ამბობდა, რომ სოციალისტური ინდუსტრიის ზრდასთან ერთად განვითარდება წითელი არმიის ტექნიკური ძლიერება.

ეი რას ამბობდა ტუხაჩევსკი 1934 წელს:

„ცხადია, რომ ომის შემთხვევაში ტექნიკური ქონებით, საჭურველით, ქვეითებით, თვითმფრინავებით, ტანკებით მოარაგების საკითხება გიგანტურად გაიზრდება... არ კმარა გვქონდეს გიგანტური ინდუსტრიული ბაზისი, — უნდა შეეძლოთ მისი ხელში აღება, უნდა შეეძლოთ მისი გადაყვანა სამშვიდობო პროდუქციიდან ფრონტის მომარაგების საქმეზე...“

1935 და 1936 წლებში პრესაში ზმიურად იბეჭდებოდა ტუხაჩევსკის სტატიები. იგი ფხიზლად ადევნებდა თვალს უეორიულ ძიებას კაპიტალისტური ქვეყნების არმიებში. სტატიაში „არმიის ორგანიზაციის საკითხები“ იგი წერდა არმიის მექანიზაციის სხვადასხვა სკოლებზე, დუე-ჰელდერსის, ფულერის სკოლებზე, დე გოლის სკოლაზე, რომელიც ომის დროის მიხედვით ახალი იყო. ტუხაჩევსკი ამტკიცებდა:

„ჩვენ უფრო ორგანიზებული ვართ, ვიდრე კაპიტალისტები. ჩვენ შეეძლებთ უფრო მტკიცედ, გაბედულად და საიმედოდ გადაწყვიტოთ ჩვენი ამოცანები“.

1935 წელს მან გამოაქვეყნა იმ დროისათვის დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი „ახალგაზრდა გერმანიის საომარი გეგმა“. მოგვაგონებდა რა ჰიტლერის გაფორტებულ მუქარას, ტუხაჩევსკი დარწმუნებულად ამტკიცებდა, რომ ჰიტლერი საფრანგეთის სიფხიზლეს აღუნებდა, რათა შეიარაღების ზრდის საბაბი არ მიეცა მისთვის. იგი წერდა, ჰიტლერის იმპერიალისტურ გეგმებს არა მარტო ანტისაბჭოთა მახვილი აქვსო. ეს მახვილი მხოლოდ შორმაა დასავლეთში რევანშისტული გეგმების შესანიღბავად. იგი უფრო შორს და უფრო ღრმად ხედავდა, ვიდრე დასავლეთის ქვეყნების ბევრი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და გენერალი.

ტუხაჩევსკიმ ყურადღება მიაქცია „ეგრეთწოდებულ „შეჭრის არმიებს“ იგი ამტკიცებდა, რომ ნაცისტების სტრატეგიული მიზანია საომარი მოქმედების გადატანა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, რათა დასაწყისიდანვე დაარღვიოს მისი სამხედრო ორგანიზაცია. ამისათვის უწინარეს ყოვლისა გამოყენებული იქნება ავიაცია, შემდეგ მოტორიზებული ძალები. ამ მოძრავ ძალებს მიჰყვებიან ჯარის მასები სამხედრო ოპერაციის მტკიცე ბაზის შესაქმნელადო.

ტუხაჩევსკი ამტკიცებდა, რომ გერმანია ქმნიდა უდიდეს სამხედრო ძალებს და უწინარეს ყოვლისა შეეჭრის მძლავრ არმიას.

ეს მოსაზრებანი საკმაოდ დადასტურდა, როცა ნაცისტთა ჯარები შეიჭრნენ პოლონეთში, ბელგიის გადავლით — საფრანგეთში, შემდეგ კი თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს.

1935 წელს ტუხაჩევსკი ლაპარაკობდა უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე — ჩვენი არმიის გაძლიერებაზე თვითმფრინავებით, ტანკებითა და მძლავრი თანამედროვე არტილერიით.

მაგონდება, რას მიამბობდა განსვენებული მწერალი ისაკ बाबელი, რომელიც ოცდაათიანი წლების დასაწყისში მანევრებს დასწრებოდა. ეს მიხდა „წითელთა“ და „ლურჯთა“ ოპერაციების გარჩევის დროს. ტუხაჩევსკი ხმამაღლებულად ისმენდა ოპერაციების გარჩევას, დროდადრო ოდნავ შეესმინეოდა ილიმებოდაო. საღამოს बाबელმა ჰკითხა:

— რატომ იყო, რომ ირონიულად იღიმებოდით, როცა მანევრების გარჩევას ისმენდით?

მიხეილ ნიკოლოზის-ძემ სერიოზულად, ოდნავ სევდიანადაც კი უპასუხა:

— ომი სულ სხვანაირი იქნება.

ტუხაჩევსკი „ღრმა ოპერაციის თეორიის“ ერთ-ერთი მომხრე იყო. ეს თეორია შეეესაბამებოდა მომავალი ომის ხასიათს. ოცდაათიანი წლების შუახანებში სწორად ვარაუდობდნენ, რომ ომში იმოქმედებდნენ მასობრივი არმიები, იმ უახლესი ტექნიკური საშუალებებით უხვად აღჭურვილნი, რომლების გამოყენებაც ოპერატიული მასშტაბით შესაძლო იქნებოდა ღრმა ოპერაციის ფორმით.

1937-1938 წლებში ღრმა ოპერაციის თეორიის ბევრი დებულება საეჭვოდ გახდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ამუშავებდნენ ის მხედართუფროსები, რომლებმაც რეპრესიებს განიცადეს.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ნაცისტებმა წარმატებით გამოიყენეს საბჭოთა მიღწევები ოპერატიული ხელოვნების დარგში.

ტუხაჩევსკიმ თავისი პრაქტიკული საქმიანობით ჩვენი შეიარაღებული ძალების შეიარაღებისა და მომზადების საქმეში და თავის თეორიულ შრომებში თანამედროვე ბრძოლის, საბრძოლო ოპერაციების, შესასწავლად შექმნა ის საფუძვლები, რომლებსაც ეყრდნობოდა ჩვენი სამხედრო მეცნიერება, ავითარებდა რა ბრძოლის ახალი ღრმა ფორმების თავის კონცეპციას.

ეს არის მარშალ ტუხაჩევსკის ერთ-ერთი ძვირფასი დამსახურება.

ეს იყო ბრწყინვალე ბუნებრივი გონების ადამიანი, ადამიანი, რომელსაც შეეძლო ფართოდ ეაზროვნა, მოეფიქრებინა დიდი მასშტაბის მანევრები და განეხორციელებინა ისინი ბრწყინვალედ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ნიმუშის ატესტატებს მიიღებენ მიმდინარე სასწავლო წელს საქართველოს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ჩვენი ქვეყნის სხვა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებთან ერთად.

ამიერიდან სიმწიფის ატესტატს ეწოდება საშუალო განათლების ატესტატი. შეიცვალა ატესტატის ფორმაც. შემცირდა მისი ზომა და ახლა მას წიგნაკის ფორმა აქვს. საშუალო განათლების ატესტატთან ერთად სკოლის კურსდამთავრებულებს გადაეცემათ მოწმობა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

ყოველწლიურად დიდდება მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სწრაფვა ცოდნისაკენ. იზრდება საღამოს სკოლების ავტორიტეტი. ახლა საქართველოში არის 343 ასეთი სკოლა, რომლებშიც 39.607 კაცი სწავლობს. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს ყოველწლიურად ამთავრებს ათასობით ბებუკი და ქალიშვილი, რომლებსაც მუშაობის საწარმოო სტაჟი აქვთ. (საქდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 45 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, რომლთა დადგება, რა ხანიც უნდა გავიდეს, შეუძლებელია. შეიძლება მაშინდელი გაჭირვება, დიდი განცდები, სიკეთეებთან თამაში ახლა შენში მრავალ ტკბილ მოგონებას იწვევდეს. იგი ხომ შენი ცხოვრების ერთი განუყოფელი ნაწილია, შენ ხომ მაშინ შეგდგი ადამიანებს, რომლებთანაც ერთ ბედში იყავი, რომლებთანაც იხიარებდი ბედის სიმწარეს, ჭირ-ვარამს.

ეს ახლა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, მაგრამ თვალს რომ გადავლებ წარსულს, არ შეიძლება იგი აუღელვებლად გაიხსენო. რა მანძილიც უნდა გაშორებდეს შენი ბიოგრაფიის ამ ნაწილს, ერთი წუთით მაინც ოცნებით იქ გადაინაცვლებ, ოცალწინ დაგიდგებიან შენი მეგობრები, რომლებიც მხარში გედგნენ.

ვინ მოთვლის, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნების რამდენმა ადამიანმა გაიცნო სანერვეში ერთმანეთი, დამეგობრდა დიდი სამამულო ომის ბობოქარ დღეებში. თოფის წამლის ბოლში განმტკიცებული მეგობრობა ხომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მიგყვება. ჩვიდმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფრონტებმა ფარდები დაუშვეს. საბჭოთა ხალხი შეეიდინან ცხოვრებას შეუდგა, მაგრამ შალვა კობიაშვილს ვუშინდელი დღესავით ახსოვს ეპიზოდები პარტიზანული ბრძოლებისა, რომლებიც მან და მისმა ფრონტელმა მეგობრებმა ბრესტში გამოიარეს. და ახლა შალვა კობიაშვილმა რამდენიმე ასეული კილომეტრი იმგზავრა, რათა საქართველოდან ბრესტში ჩასულიყო და დიდი სამამულო ომის დროინდელი მეგობრები მოენახულებინა.

მშვიდობიანი ცხოვრების ფერხულში ჩაებნენ ყოფილი ბრესტელი პარტიზანები — შალვა კობიაშვილის მეგობრები. ამ რამდენიმე კვირის წინათ ისინი ინახულა ყოფილმა ქართველმა პარტიზანმა. ფრონტელი მეგობრების ამ შეხვედრას მიუძღვნა ბრესტის საოლქო გაზეთმა „ზარიამ“ ოდნიერთ „ჩვენი სტუმრები“ ვრცელი წერილი — „წარსული დღეების გახსენება“...

წერილში აღწერილია ბელორუსიის ტყეებში მოქმედი პარტიზანების საბრძოლო ცხოვრება. აქვე ეკითხულობთ:

„სახალხო შურისმაგებელთა რიგებში ბელორუსებთან ერთად იბრძოდნენ რუსები და უკრაინელები, ქართველები და ლიტველები, უზბეკები და სომხები, ჩვენი დიდი ამშობლის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ისინი იბრძოდნენ ჩვენი საერთო მართალი საქმისათვის — ფაშისტური გერმანიაზე გამარჯვებისათვის. მრავალმა მათგანმა თავისი სისხლით მორწყო ბელორუსული მიწა, გასწირა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე.

ჩვენი თვალწარმტაცი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ ახლა ყოფილი პარტიზანები. მრავალი წელი გავიდა ომის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ისინი არ იეიწყებენ ბრესტის გმირულ დღეებს, ნახულობენ ბრძოლის ადგილებს, სტუმრად მიდიან თავიანთ მებრძოლ მეგობრებთან.

ახლახან ჩვენთან ბრესტში შორეული საქართველოდან ჩამოვიდა შალვა ილიას-ძე კობიაშვილი — შენაერთის შტაბის ყოფილი პოლიტხელი. მრავალ ბელორუს პარტიზანს შეეხვა იგი. გულთბილ და ამაღელვებელ საუბრებში მებრძოლებმა მოიგონეს წარსული დღეები, ცხარე შეტაკებები, რომლებშიც მან მონაწილეობა მიიღოთ. ცოტა არიან ისეთები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი თანამოსაუბრის გვარი დაასახელონ. სხვანაირად არც შეეძლებოდა! პარტიზანებში შალვა კობიაშვილს ყველა იცნობდა როგორც „საშკა-გრუზინს“.

ბრესტში კობიაშვილს, როგორც ძმას, როგორც ძვირფას სტუმარს, შეხვდნენ საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ბრესტის პარტიზანთა შენაერთის უფროსის მოადგილე ფ. დ. რომი, დიმბრარე მუურნეობის „ბერიოზოვკის“ დირექტორი (ბრესტის პარტიზანთა შენაერთის უფროსის ს. ი. სოკოსკის ყოფილი ადიუტანტი) ფ. პ. ბერშადსკი, რაკნიგზის ცენტრალური პოლიკლინიკის ექიმი (შენაერთის შტაბის ექიმი) გ. ვ. ტარასოვი, მრწყველობის სამმართველოს კადრების განყოფილების ინსპექტორი (ჩერტკოვის სახელობის რაზმის კომისარი) ი. მ. ტერეშჩენკოვი.

საქართველოდან ჩამოსულმა სტუმარმა მოიხახულა ჰიტლერიელთა წინაა

მოხერხებული კაცი

არასოდეს არ დავიწყებ ვასილ ლელუაშვილს 1962 წლის 10 მაისი. პარტიის ახალციხის რაიკომის შენობის კიბეები მან აჩქარებით ჩამოიარა და პირველივე ნაცნობს, რომელიც შემოხვდა, სიხარულით მიახალა: — მეშვილა, სამუშაოდან გამათავისუფლეს, თბილისში მივდივარ!..

იმ დღესვე პარტიის ახალციხის რაიკომის მდივნის პეტროსიანის ხელმოწერით „საქმთავსოფლელექტროს“ სამმართველოს უფროსს გ. ბოკუჩავას სახელზე დაიძრა შემდეგი მიმართვა:

„რაიკომმა ვ. პ. ლელუაშვილი თავისი განცხადების თანახმად გაათავისუფლა „საქმთავსოფლელექტროს“ ახალციხის ელქსელების დირექტორის თანამდებობიდან და გაგზავნა იგი „საქმთავსოფლელექტროს“ განკარგულებაში, ხოლო ამ თანამდებობაზე დროებით შემსრულებლად დატოვა ინჟინერი ა. ი. მურადიანი“.

ოპერატიული მუშაობის რეკორდი დამყარდა: ახალციხიდან მოფრენილი დოკუმენტის საფუძველზე მეორე დღესვე, 11 მაისს, „საქმთავსოფლელექტროს“ სამმართველოში სახელდახელოდ დაიწერა ბრძანება, რომლის მიხედვით ვ. ლელუაშვილი გადმოყვანილ იქნა თბილისში „სათანადო თანამდებობაზე გამოსაყენებლად“.

აქედან დაიწყო არცთუ არაჩვეულებრივი ამბავი. სულ მალე ლელუაშვილის სიხარულის ნამდვილმა მიზეზმა მისი თბილისელი მეგობრები აახმიანა:

— ვასილ ჩემო, ახალი ბინის მიღებას გილოცავთ!

— ჭერის დალოცვა არ დაივიწყოო!

ამ სიტყვებზე ლელუაშვილს კიდან წამოსცდა, რომელი ჭერიო, მაგრამ ენას კბილი დააჭირა: ფრთხილად, ვასილ, ჯერ კიდევ ფონს როდი ხარ გასული!

„საქმთავსოფლელექტროს“ ხელმძღვანელობამ თავის საუწყებო ახალ ბინაში (მიცკევიჩის ქუჩა № 4) მოწიწებით შეასახლა ვ. ლელუაშვილის ოჯახი, როგორც წესი, ჭერიც დაულოცეს.

იტყვიან, მერე და რა არის აქ ცუდი. პირიქით, შესანიშნავია, მისასალმებელია. კაცი ბინით დააკმაყოფილეს, სწორედ სასიხარულო და დაუვიწყარია! მაგრამ საქმე ის არის, რომ ვ. ლელუაშვილი ახალ ბინაში შესახლებამდე ცხოვრობდა და დღეგრძელობდა უმიკაშვილის ქ. № 8 სახლში, სადაც მილიციის განყოფილებაში ვ. ლელუაშვილის ხელითვე წარდგენილი ცნობის თანახმად მას 40 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ეჭირა და მისი ოჯახის ოთხი წევრი ბინადრობდა.

სინამდვილეში ვასილის ძველი ბინა აღნიშნული ფართობის ნახევარსაც არ შეადგენდა. ამ სახლში ვ. ლელუაშვილი შესახლებული იყო თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს მიერ გაცემული ორდერით...

ახალ ბინაში საცხოვრებლად ვ. ლელუაშვილმა ოჯახის სამი წევრი გადაიყვანა, ძველ ბინაში კი მძევლად თავისი ქალიშვილი ლიანა დატოვა.

— შენც დაგელოცოს ჭერი, ჩემო ძველო კარიბჭეე, შენც ჩემი ხარ და ახალიცა, არა ვარ ღირსი თუ?

სიფრთხილეს თავი არ სტკივავო, გაიფიქრა ვასილმა და ძველი ბინის მტკიცედ შენარჩუნების უზრუნველსაყოფად მცხეთიდან თავისი ბიძაშვილი იზო ლელუაშვილი ჩამოიყვანა.

„საქმთავსოფლელექტროს“ ელექტროენერგეტიკული მოწყობილობის რემონტისა და გამართვის ცენტრალური საწარმოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ქაბუნიანიძემ, სრულიად უსაბუთოდ, თბილისში ჩაუწერელი იზო ლელუაშვილის განცხადებას დაიწერა: „გაიფორმეთ დროებით სამუშაოზე ა. წ. პირველი ივნისიდან“.

ხუთი დღის შემდეგ იგივე ქაბუნიანიძე იმავე ი. ლელუაშვილისადმი მილიციის რაიონულ განყოფილებაში წარსადგენად მიცემულ ცნობაში წერს: იზო „ნამდვილად მუშაობს“ ამა და ამ ორგანიზაციაში. თაღლითობას გზა გაეხსნა — ბრძანებიდან გაქრა სიტყვა „დროებით“. იზო ვასილის ძველ ბინაში ჩაწერეს, სამუდამოდ დაამკვიდრეს. როგორც კი ყველაფერი მოაჯახრაკეს და თითქოს საშიშროებამ იკლო, იზო ლელუაშვილი „საქმთავსოფლელექტროდან“ წავიდა.

— ძველი ბინა იმითაც არის სახარბიელო, რომ უპატრონოა, ქირის ფულს არ ვიხდიო! — თქვა ვასილმა.

მართლაც საოცარია, მაგრამ სინამდვილეა. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრში უმიკაშვილის ქუჩის № 8 სახლი უკვე რვა წელია უპატრონოდ არის მიტოვებული. ათი ოჯახი, მათ შორის ლელუაშვილის ოჯახი, ბინის ქირას არ იხდის. ეს ამბავი ცნობილია ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომისათვის, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს: ძველი ბინაა, სადა გვცალია ასეთებისათვის, მას მოვლა-პატრონობა სჭირდებაო!

ვასილმა ორჯონიკიძის რაიმილიციის ზოგიერთი მუშაკის უყურადღებობით ისიც კი შეძლო, რომ ახალ ბინაში მხოლოდ მეუღლე და ვაჟიშვილი ჩაწერა. ხოლო ქალიშვილი ლიანა — „საქმთავსოფლელექტროს“ თანამშრომელი ძველ ბინაში მოაკლათა.

ლელუაშვილის ბინების საკითხი წარმატებით გადაწყდა. შვებით ამოისუნთქა ვასილმა...

ერთ დღეს პარტბიუროს მდივანმა ვ. თოფფურიამ ვასილს შენიშნა:

— ოთხი თვე გადის, თქვენი პარტიული საქმე ახალციხიდან კვლავ არ გადმოგიტანიათ, რას ფიქრობთ?

— მალე მოვაგვარებ, — თქვა ლელუაშვილმა.

გასული წლის 12 სექტემბერს „საქმთავსოფლელექტროში“ პარტიის ახალციხის რაიკომის მდივნის ლ. ისაკაძის ხელმოწერით ახალი დოკუმენტი გაჩნდა: „ა. წ. 10 მაისიდან ლელუაშვილი ავადმყოფობის გამო დროებით (?!) იქნა განთავისუფლებული დაკავებულ თანამდებობიდან...

რაიონული კომიტეტი გთხოვთ, „საქმთავსოფლელექტროს“ ახალციხის ელქსელების დირექტორად დაამტკიცოთ ვასილ პეტრეს-ძე ლელუაშვილი“.

12 სექტემბერსვე დაიწერა ბრძანება, რომლითაც ვ. ლელუაშვილი კვლავ დანიშნა ახალციხის ელექტროქსელის დირექტორად!

ამაზე იტყვიან, აბა ჩემო მანასეო, ხანისე და ხან ასეო.

საინტერესოა მთელი ამ ამბის „გმირები“ მკითხველს რას უპასუხებენ?

შ. გუმბარიძე,
ა. გოცირიძე.

ფოტო ბ. რედკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

„პამირის არითმეტიკა“

ზღვის დონიდან 2.200 მეტრზე მდებარეობს მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის დედაქალაქი — ხოროგი.

მთის ყინულიანი მუნი (ვაშლი) ხოროგზე მაღლაა რამდენიმე ასეული მეტრით. აქ ოლქის მრწინავე კოლმეურნეობა „ვატანის“ („სამშობლო“) სავარგულებია. საკოლმეურნეო დაბის მცხოვრების საიდალიდოდ საიდმირზოევისათვის 1963 წლის თებერვალი ღირსშესანიშნავი გახდება. სრულდება 125 წელი მისი დაბადებიდან. როცა მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც პამირელებს ახალი ცხოვრება ბოუტანა, საიდალიდოდ საიდმირზოევს 79 წელი შეუსრულდა. ახლა მოხუცი დეკანი დამსახურებულად ისვენებს. საოჯახო და საზოგადოებრივ საქმეებზე სასაუბროდ მასთან მიდის ხოლმე სამი ვაჟიშვილი, ოთხი ქალიშვილი და 24 შვილიშვილი. ხოლო როცა მისი 77 შვილიშვილის შვილი და შვილიშვილის შვილიშვილი შეიკრიბება, ოჯახის შემადგენლობა 109 კაცს აღწევს.

...რიცა ღრმად მოხუცი საიდალიდოდი თავის უფროს ვაჟიშვილს საიდნურლოს (მარჯვნივ) ესაუბრებოდა, მათ თქვეს, რომ მალე ორივეს დასჭირდება პირველი სათვალე გაიკეთოს... პაპას პაპას მუხლებზე უზის პატარა საიდალიდოდი, რომელსაც ეს სახელი გვარის მეთაურის პატივსაცემად დაარქვეს.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲝᲚᲘᲝ

დიდი პაექროგბის წინ იაპონიაში

საბჭოთა მოჰიდავეების გამგზავრება

საუბარი სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელთან

ბ. სიხარულიძესთან

გუშინ დილით სსრ კავშირის ნაკრები გუნდი თავისუფალ ჭიდაობაში, აგრეთვე საბჭოთა სამბისტებისა და ძიუ-დოისტების ერთი ჯგუფი გაემგზავრა მომავალი ოლიმპიური ასპარეზობის ქვეყანაში — იაპონიაში, სადაც გამართავს საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს ადგილობრივ გუნდებთან, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს საჩვენებელ გამოსვლებში ძიუ-დოსა და სამბოში.

მოსკოვიდან ტოკიოში გამგზავრების წინ სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ ტელეფონით გვაცნობა:

საბჭოთა მოჰიდავეები წარმატებით ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ამ დიდი ასპარეზობისათვის მზადების პროგრამის ერთ-ერთ პასუხსაგებ ეტაპს წარმოადგენს ტურნე იაპონიაში, სადაც ჭიდაობა დიდი პოპულარობით სარგებლობს და სპორტის ერთ-ერთ წამყვან სახეობად ითვლება. ამას ისიც უნდა დაეძინოთ, რომ ბოლო ხანებში საბჭოთა და იაპონელ სპორტსმენებს, კერძოდ თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეებს შორის მეგობრული ურთიერთობა დამკვიდრდა, რაც სულ უფრო ღრმად იდგამს ფესვებს.

შეჯიბრება იაპონელ მოჭიდავეებთან იქნება არა მარტო ამ ტრადიციის განგრძობა, არამედ ძალთა ერთგვარი მოსინჯვა, ტექნიკის შემდგომში სრულყოფა, ბრძოლის ტაქტიკური არსენალის გამდიდრება. ჩვენ საშუალება გვექნება გავეცნოთ ამ ქვეყნის სპორტულ ცხოვრებას, იმ სპორტულ ბაზებს, სადაც მოეწყობა ოლიმპიური შეხვედრები. ტურნე იაპონიაში ემთხვევა მსოფლიო პირველობის გათამაშებას ჩქაროსნულ ციგურაობაში ქალთა და ვაჟთათვის. საბჭოთა მოციგურაველებს ჩვენი სახით ყველაზე უახლოესი გულშემატკივრები ეყოლებათ.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, როგორია ჩვენი ტურნეს გეგმა და რა შემადგენლობით მიეგზავნება გუნდი.

იაპონიაში საბჭოთა მოჭიდავეებს ოთხი შეხვედრა ექნებათ როგორც ამ ქვეყნის ნაკრებთან, ისე სხვადასხვა გუნდებთან. პირველი მატჩი შედგება ტოკიოში 19 თებერვალს, დანარჩენების კალენდარს ადგილზე დავაზუსტებთ. ტოკიოს გარდა ჩვენი სპორტსმენები გამოვლენ ქალაქებში — გუნმაში, კობესა და ოოკუმამაში.

საბჭოთა მოჭიდავეებს ჰქონდათ საკონტროლო შეხვედრები, რომლებმაც გამოავლინა უძლიერესნი. სსრ კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდის შემადგენლობაში არიან — ლიტვინი, მკედლიშვილი, ხოხაშვილი, საღარადე, ბერიაშვილი, ალბული, ბიხანოვი, მედვედი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობის მისაღებად მიგვყავს სამბისტები და ძიუდოისტები. ესენი არიან ბერუაშვილი, სტეპანოვი, შულცი და პანკრატოვი.

მოჭიდავეებს მწვრთნელებად მიჰყვებიან ბალავაძე და დიკინი.

საბჭოთა მოჭიდავეები კარგ სპორტულ ფორმაში არიან. ვფიქრობთ, რომ ისინი თავს გამოიჩენენ მომავალ შეხვედრებში.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲝᲚᲘᲝ

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲖᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲛᲘᲜᲝᲗ

ᲙᲘᲜᲝ

17 თებერვალი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელ დროშის ორდენიანი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭაკვავაძის სახელობის კლუბი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — მაშრუტი 29, სპარტაკი — ამერიკა ფრანგის თვალით, კოლმეურნე, ნაკადული — ყინულთსვლა, თბილისი, — ტორეადორი. კომკავშირელი — ჯამილა, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი), დიდუბე, კიროვის სახელობის პარკი — არდადეგები, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი, გაზაფხული — გამარჯობა, გნატ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

17 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ჩხიკვთა ქორწილი (დღისით), ბერლინსარის (მადრეკანი, საღამოს), რუსთაველის სახელობის — ზოვის შვილები (დღისით [illegible] საღამოს [illegible]). 7 [illegible] ბარ[illegible] [illegible] ბ. [illegible] [illegible] [illegible]